ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 07 აპრილის №06-01/34 დადგენილების

N1 დანართი

ბსუ-ს აუდიტორიისათვის სახელის მინიჭების და ბიუსტის განთავსების წესი

(წესი ძალაშია 14.04.2025 წლიდან)

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი ან ბსუ) აუდიტორიისათვის სახელის მინიჭების (შემდგომში - სახელის მინიჭება), ასევე ბიუსტის დამზადებისა და განთავსების რეგულაციას.

2. ბსუ-ს აუდიტორიას შესაძლებელია მიენიჭოს იმ პირის სახელი, რომლის გარდაცვალებიდან გასულია სულ მცირე 10 წელი და აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ კრიტერიუმს:

ა) ეროვნული ან საერთაშორისო დონეზე აღიარებული, მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, დარგის/სამეცნიერო სკოლის/მიმდინარეობის ფუძემდებელი საზოგადო მოღვაწე იყო;

ბ) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მათ შორის, ამ უნივერსიტეტთან ინტეგრირებულ სამეცნიერო ან/და საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ/სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 40 წლის გამოცდილება ჰქონდა და თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბსუ-ში შესაბამისი დარგის შექმნასა და განვითარებაში ან/და ბსუ-ში ინსტიტუტის/ლაბორატორიის/კლინიკის/ცენტრის დაარსებაში;

გ) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის განახორციელა განსაკუთრებული ქველმოქმედება (დიდი ოდენობით ფულადი თანხის ან/და მატერიალური რესურსის შემოწირულობა).

3. ბსუ-ს შენობაში ან ტერიტორიაზე განსათავსებელი ბიუსტი შესაძლებელია დამზადდეს იმ პირისა, რომლის გარდაცვალებიდან გასულია სულ მცირე 20 წელი და აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ კრიტერიუმს:

ა) უმაღლესი განათლების, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო დონეზე აღიარებული პირია;

ბ) თავისი საგანმანათლებლო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებაში, შესაბამისი დარგის შექმნა-განვითარებაში ან/და ბსუ-ში ინსტიტუტის/ლაბორატორიის/კლინიკის/ცენტრის დაარსებაში.

4. ბსუ-ს აუდიტორიისათვის სახელის მინიჭების ან შესაბამისი პირის ბიუსტის დამზადება-განთავსების გადაწყვეტილებას იღებს ბსუ-ს აკადემიური საბჭო, ბსუ-ს ფაკულტეტის საბჭოს, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტის) სამეცნიერო საბჭოს ან ბსუ-ს რექტორის ინიციატივით.

5. ბსუ-ს აუდიტორიისათვის შესაბამისი პირის სახელის მინიჭების ან ბიუსტის დამზადება-განთავსების ინიციატივა უნდა იყოს დასაბუთებული და სრულად

პასუხობდეს სახელის მინიჭების ან ბიუსტის დამზადების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, წინამდებარე წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

6. ბიუსტის დამზადება-განთავსების საორგანიზაციო გადაწყვეტილებები (მომსახურების/სამუშაოს შესყიდვა, განთავსების ადგილის შერჩევა და სხვა) მიიღება და თანხმდება ბსუ-ს რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან.